საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1799 2015 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

2015 წლის 19-23 ოქტომბერს საქართველოში დაგეგმილი „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) მცენარეთა კომიტეტის 22-ე შეხვედრის შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია „2015 წლის 19-23 ოქტომბერს საქართველოში დაგეგმილი „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) მცენარეთა კომიტეტის 22-ე შეხვედრის ბიუჯეტის შესახებ.

2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ:

ა) „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან უზრუნველყოს მცენარეთა კომიტეტის 22-ე შეხვედრის თბილისში ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება;

ბ) „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან უზრუნველყოს მცენარეთა კომიტეტის 22-ე შეხვედრის სპონსორირებული მონაწილეების, კონვენციის სამდივნოს თანამშრომლებისა და თარჯიმნების მგზავრობისათვის გათვალისწინებული 46 475 აშშ დოლარის (დანართი) „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) სამდივნოს მიერ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხვა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

მცენარეთა კომიტეტის შეხვედრა
თბილისი, საქართველო
19 - 23 ოქტომბერი 2015

სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა 13.07.2015 მდგომარეობით

		სულ ხარჯი	სულ ხარჯი	
	საჭიროებები		ხარჯი Trust Fund	ხარჯი საქართველო
		USD	USD	USD
1	მცენარეთა კომიტეტის წევრების ხარჯები			
	ავიაბილეთები (იხ ქვემოთ)	16,600	14,200	2,400
	დღიური ანაზღაურება 6 წევრისათვის ($316 x 6 დღე)*	11,376	11,376	-
	ტერმინალის ხარჯები ($152 x 6)	912	912	-
	სულ (1)	28,888	26,488	2,400
2	თარგმნა			
	6 თარჯიმნის ხელფასი** ($600 x 6 x 6 დღე)	21,600	21,600	-
	ავიაბილეთი 6 თარჯიმნისათვის	6,708	-	6,708
	დღიური ანაზღაურება 6 თარჯიმნისათვის ($316 x 6 x 6 დღე)*	11,376	-	11,376
	ტერმინალის ხარჯები ($152 x 6)	912	-	912
	მგზავრობის კომპენსაცია ($696 x 6 x 1 დღე თბილისში)	4,176	-	4,176
	სულ (2)	44,772	21,600	23,172
3	დოკუმენტების თარგმნა			
	დოკუმენტების თარგმნა (PC)	50,000	50,000	-
	სულ (3)	50,000	50,000	-
4	სამდივნოს თანამშრომლების ხარჯები			
	5 თანამშრომლის ავიაბილეთი	5,000	-	5,000
	5 თანამშრომლის დღიური ანარაურება ($316 x 4 x 7 დღე) + ($316 x 1 x 3 დღე)	9,796	-	9,796
	ტერმინალის ხარჯები	760	-	760
	სულ (4)	15,556	-	15,556
	სულ	139,216	98,088	41,128
	13% Overhead	18,098	12,751	5,347
	GRAND TOTAL	157,314	110,839	46,475

შენიშვნები:

* UN DSA განაკვეთი 2015 ივლისისათვის:

თბილისი რადისონი	316
ჟენევა	418

** თარჯიმნის დღიური ხელფასი EUR 496 (2015 AC შეხვედრის განაკვეთების მიხედვით)

ავიაბილეთების ხარჯები: PC სპონსორირებული დელეგატები:	Airfare (in USD): Tbilisi	Airfare (in USD): Geneva
უგანდა	1,900	2,700
კენია	1,900	1,800
ფილიპინები	4,300	2,800
ჩინეთი	1,400	2,200
ბრაზილია	4,600	2,400
კოსტა-რიკა	2,500	2,300
სულ:	16,600	14,200